№ 252
სამშაბათი, 29 ნოემბერი 1894

1877--1894

# ივერია

№ 252
სამშაბათი, 29 ნოემბერი 1894

გაზეთი ღ. ახ:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოვა 1895 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

## ტფილისი, 29 ნოემბერი

იმპერატორის ნიკოლოზის დაქორწინების გამო ნაბოძები მანიფესტი შეეხო სხვათა შორის პოლონელ პოლიტიკურ დამნაშავეთაც. ამ მანიფესტის ძალით ყველა ისინი, რომელნიც სასჯელს იხდიდნენ პოლონეთის 1863 ამბოხებაში მონაწილეობისთვის 30 წლის განმავალობაში ციმბირის უდაბურს ადგილებსა და ციხეებში, განთავისუფლებულნი არიან; მათ მიეცათ უფლება იცხოვრონ, სადაც ესურვებათ, და მიენიჭათ ისევ შთამომავლობითი ღირსება, რომელიც ახდილი ჰქონდათ. ხოლო მთავრობისაგან ჩამორთმეული ყოფა-ცხოვრება და ადგილ-მამული კი აღარ დაებრუნებათ, რადგანაც ადგილ-მამული იგი დიდი ხანია დარიგებული აქვთ სხვა და-სხვა რუსის მოხელეთ.

ყოველს მდგომარეობას, ყოველს არსებულს წესს თავისი დრო, თავისი საზღვარი ექვს და ამ დროსა და საზღვარზედ გადაცილებული წესი, თუ განკარგულება ანახრონიზმად უნდა ჩაითვალოს. ეს ისტორიული და პოლიტიკური კანონი, როგორცა სჩანს, იმპერატორს ნიკოლოზს კარგადა აქვს შეგნებული და საგულისხმოა, რომ იგი თითონ წაუძღვება თავისს სახელმწიფოს ყოველ გვარ განვითარებისა და წარმატების გზაზედ.

ყველა კეთილშობილის ადამიანის თანაგრძნობა და იმედი მიპყრობილია ამ ახალგაზდა, სრულად შემძლებელ მეფისაკენ, რადგანაც ყველანი გრძნობენ, რომ იგი იქნება ნამდვილად განათლებული ევროპიული ხელმწიფე და ჭეშმარიტი მოსამართლე და მმართველი, რომლისათვისაც ყველა ქვეშევრდომის უფლება თანასწორად პატივსადები და შესაწყნარებელია.

რაც შეგვეხება საკუთრივ ჩვენ, ქართველებს, ჩვენ განსხვავებულს არას ვისურვებთ ამ ჟამად: იმედი გვაქვს, მოწყალე მეფე ჩვენი, იმპერატორი ნიკოლოზი მოგვანიჭებს ყველა იმ უფლებას, რომელიც დღესა აქვს და შემდეგშიც ექნება მინიჭებული რუსეთის ერს.

თუ გულწრფელი ერთგულება ქართველის ერისა რუსეთის ხელმწიფისადმი არავისსაზედ ნაკლები არ არის, საგულისხმოა, რომ არც ყურადღება და მოწყალება მეფისა უნდა იქნას ნაკლები ჩვენდამი.

მეველე

## ახალი ამბავი

*** ქალაქის მოურავმა გუშინ აბასთუმნიდგან შემდეგი პასუხი მიიღო მემკვიდრე ცესარევიჩის, დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძისაგან იმ დეპეშაზე, რომლითაც ბ-ნმა იზმაილოვმა მიულოცა მის უმაღლესობას დღეობა.

„ვმადლობ ქალაქ ტფილისის მცხოვრებლებს გამოცხადებულის ჩემდამო გრძნობისათვის.“

გიორგი

*** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს შემდეგი საპასუხო დეპეშა მოუვიდა მემკვიდრე ცესარევიჩისაგან.

„გულითად ვმადლობ ტფილისის თავად-აზნაურობას და თქვენც მილოცვისთვის.

გიორგი

თ. მუხრან-ბატონს შემდეგი დეპეშა მიუწერია:

აბასთუმანი. მის იმპერატორობის უმაღლესობას მემკვიდრე ცესარევიჩს და დიდ მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს.

თქვენო იმპერატორების უმაღლესობავ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა და მე გილოცავთ სახელწოდების დღეს და განუსაზღვრელს ერთგულებას გიცხადებთ.

*** 28 ნოემბერს, დილის $11^1/_2$ საათზე, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისა იმპერატორის ალექსანდრე მე-III, ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში გადახდილ იქმნა პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრნენ მოსწავლენი და მასწავლებელნი.

*** მთავარ მართებელი ს. ა. შერემეტევი 26 ნოემბერს პეტერბურგიდგან გამოემგზავრა და ტფილისში 7 დეკემბერს დაბრუნდება.

*** შემდეგი წარმოდგენა ქართულს თეატრში კვირისთვის არის დანიშნული.

*** გუშინ 28 ნოემბერს შესრულდა ორმოცი დღე ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის გარდაცვალებიდგან, ამის გამო გუშინ დილიდანვე ქალაქში სახლები შავი ბაირაღებით დაშვენდა.

სიონის ტაძარში ორმოცის წირვის შემდეგ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა ვლადიმირმა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოზი ალექსანდრე და ეპისკოპოზი ბესარიონითურთ და ქალაქის სამღვდელოებითურთ პანაშვიდი გადიხადა მის უდიდებულესობის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდზე გენერლობა, სხვა-და-სხვა დაწესებულებობის უფროსნი, მოხელენი და მრავალი ხალხი დაესწრო.

*** გუშინ, 28 ნოემბერს, რადგანაც ორმოცი დღე შესრულდა ხელმწიფე იმპერატორის გარდაცვალებიდგან ამ დღისთვის დანიშნული სხდომა ქალაქის საბჭოსი არ შესდგა.

გუშინ სპარსეთის ელჩი გენერალ-ადიუტანტი მირზა-რიზა-ხანი ბაქოს წავიდა სპარსეთის შაჰის დეპუტაციის დასახვედრად. ეს დეპუტაცია პეტერბურგს მიდის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძის ტახტზედ ასვლის მისალოცად.

## ფელეტონი

### საგანი ჩვენის საზოგადო მოღვაწეობისა

(ვუძღვნი ტიტიკო ნ—ძეს)

საუცხოო ფილოსოფოსები გვებადებიან ქართველებს: ბევრნი იმათგანნი საქმის ცოდნას, დროების მოთხოვნილებათა შეგნებას უწუნებენ ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს; თითონ არდგენენ გარდასაწყვეტ საგნებს, რომლებზედაც, იმათის აზრით, უნდა იყოს მიქცეული ამ ჟამად ჩვენი უმთავრესი ყურადღება, თითონ უკაფავენ საზოგადოებას გზას და უთითებენ გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს, რომელსაც შეუძლიან, როგორც ისინი ჰფიქრობენ, შეიყვანოს ჩვენი ერი სასუფეველში. მაგრამ ხშირად ზოგიერთნი ამ გვარ ფილოსოფოსთაგანნი უფრო უბნევენ საზოგადოებას გზა-კვალს; ნაცვლად სასუფეველისა, იმათ ნაჩვენებ გზას საზოგადოება დაბურულ ტყეში შეჰყავს, რომლიდგანაც მისი გამოყვანა საძნელო ხდება. ამ გვარ ფილოსოფოსთა დასს ეკუთვნის ავტორი «ჩვენის საზოგადო საქმეების»-სა, ბ ნი ვ. წ. («ივერია, № 201).

ხსენებულის წერილის ავტორის აზრით, ეხლანდელი ჩვენი ლიტერატურა უსაგნო, უსაფუძვლო და უაზროა; ის მომეტებულ ნაწილად სიტყვების რახარუხს უფრო მისდევს, ვიდრე საზოგადო საქმეების ზრუნვას. ვალაპარაკოთ თვით ავტორი წერილისა: „სცდილობენ (ჩვენი ლიტერატორები) განავითარონ ლიტერატურა და არ მოეძევებათ საგანი, რაზედაც უნდა ილაპარაკონ, საფუძველი, რომელზედაც უნდა ააშენონ იგი (ლიტერატურა). უსაქმოობისაგან იბადება უაზრობა...“

„...საქმე უფრო სასარგებლოა სიტყვაზედ; თვით ლიტერატურისათვისაც-კი ის სჯობია, რომ მეტი ვიზრუნოთ საზოგადო საქმისათვის“ და სხვა.

თავისის აზრის დასამტკიცებლად ბ-ნს ვ. წ. მოჰყავს ზრუნვა ჩვენის ლიტერატურასა, ბანკებსა, დეპოებსა და სასწავლებლებზედ *) რომლებსაც მეტ-ნაკლებად, ჩვენი ავტორი უმნიშვნელოდ და, თითქმის, საზარალოდაცა ჰრაცხს. მომეტებულად ბანკებს უყურებს ის ცუდის თვალით, რომლებიც, მისის აზრით, ხელს უწყობენ ხალხის გაღატაკებას. დეპოები მას საზარალოდ არ მიაჩნია, მაგრამ იმათგან ბევრს არას გამოელის. „დიდი იმედი ჰქონდათ რუსეთში ბანკებისა და დეპოებისა, მეტადრე ბანკებისა, მაგრამ ბანკმა ის მოიტანა, რისი თავიდგან აცდენაცა სურდათო“ ჰბრძანებს ბ-ნი ვ. წ. «მართლაც ძნელად საფიქრებელია, განაგრძობს იგივე ავტორი, რომ ბანკი ყველამ თანაბრად გამოიყენოს: ზოგი ისარგებლებს, ზოგი ვერა, და თუ ზოგიერთები გამდიდრდებიან, მაშინ დანარჩენები ხომ გაღარიბდებიან! სიმდიდრე და სიღარიბე უბანკოდაც ჩნდება, მაგრამ ბანკი, მოლოდინისა წინააღმდეგ, კიდევ უფრო ხელს უწყობს ამ არა-სასურველს მოვლენას. მაშასადამე, ბანკისაგან, რაც უნდა საშეღავათო იყოს, ამ მხრივ სიკეთეს არ უნდა მოველოდეთ“.

„დეპოები ხომ ჩვენშიაც სცადეს, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება, რომ იმათგან დიდს რასმე გამოველოდეთ“ და სხ.

სკოლებს უფრო მოწყალების თვალით უცქერის ბ-ნი ვ. წ., თუმცა არც იმათგან გამოელის ჯერ-ჯერობით რასმეს. რაოდენისამე მსჯელობის შემდეგ სკოლების მნიშვნელობაზედ, ის ასე აბოლოებს თავისს აზრს ამ საგნის შესახებ: „მაგრამ თავი მაინც არ უნდა მოვიტყუოთ დიდის იმედებით, ჯერ-ჯერობით ჩვენ ხელთ არაფერი არ არის, რომ გავაკეთოთ რამე სოფლის სკოლისათვის. ამისათვის არ მოგვეძებნება არც ქონებრივი სახსარი და არც სხვა გარემოება გვიწყობს ხელს“.

ასე და ამ რიგად ბ-ნი ვ. წ. რაოდენადმე საზარლოდ ჰრაცხს, რაოდენადმე არავითარს მნიშვნელობას არ აძლევს და რაოდენადმე მცირე ადგილს უთმობს ზრუნვას ბანკებსა, დეპოებსა და სკოლებზედ. მაგრამ კიდევ კარგი, რომ დაარღვია რა მან საფუძვლები ჩვენთა მოღვაწეთა მოღვაწეობისა, თითონ შეიგნო ჩვენის ქვეყნის ამ დროინდელი მოთხოვნილებანი და წამოუყენა ჩვენს ერს ის საზრუნველო საგანი, რომელიც, ავტორის აზრით, შეადგენს ქვა-კუთხედს მისის (ერის) წარმატებისას: „ყოველ დროსა აქვს თავისი მოთხოვნილებაო, ჰბრძანებს ბ-ნი ვ. წ.: საზოგადო მოღვაწის მოვალეობაა შეიგნოს დრო-ჟამის მოთხოვნილება და უმთავრესი ყურადღება ამ მოთხოვნილებას მიაქციოსო“. ეხლა რა გგონიათ, რა არის ეხლანდელის „დრო-ჟამის მოთხოვნილება“ ბ ნ ვ. წ. აზრით? რაციონალურის პანსიონის დაარსება, სადაც «ზედამხედველები უნდა იყვნენ გაფთხილებულები, რომ ყმაწვილები არ გაირყვნენ... საჭირო იქნება პანსიონთან ბაღი და სახელოსნოები დაარსდეს, რომ ყმაწვილები ფიზიკურადაც განვითარდნენ და ცხოვრებაში საჭირო სამეურნეო და სახელოსნო ცოდნაც შეიძინონ... პანსიონთან ერთად უნდა იყოს პირველ-დასაწყისი სასწავლებელი, სადაც იაფად მოემზადებიან საშუალო სასწავლებლისათვის ღარიბი მოსწავლეები და სხ. და სხ.

*) სასწავლებლების შესახებ არას ვიტყვი, მაგრამ, ჩვენ შორის ითქვას, ბანკებსა და დეპოებზედ ზრუნვით ჩვენი ლიტერატურა მაინც და მაინც თავს არ იწუხებს.

ავტორი

აქ ყველაზედ უფრო საკვირველი ის არის, რომ ბ-ნი ვ. წ. რასაც პირველად უარს ჰყოფს, რაც უმნიშვნელოდ და შეუძლებლად მიაჩნია, იგივე მეორე შემთხვევაში უპირველესს საქმედ მისჩნევია, რომელსაც უნდა მიექცეს მისის აზრით, მთელი ჩვენი ყურადღება. ზემოთ აკი თითონვე ამბობდა, რომ თავი არ უნდა მოვიტყუოთ დიდის იმედებითაო; ჯერ-ჯერობით ჩვენ ხელთ არაფერი არ არის, რომ გავაკეთოთ რამე სოფლის სკოლისათვის, რადგან ამისთვის არც ქონებრივი სახსარი გვაქვს და არც სხვა გარემოება გვიწყობს ხელსაო. ეხლა როგორ მოხდა, რომ მისგანვე დაწუნებული მოღვაწეობა სკოლების დაარსებისა, როგორც თითონვე აღიარებს, თურმე პირველი საქმე ყოფილა, რომელსაც ორისავე ხელით უნდა ჩავებღაუჭოთ? ვერ მივმხვდარვართ რა განსხვავებასა ჰპოულობს ბ-ნი ვ. წ. სკოლასა და პანსიონს შორის, რომელთანაც დაარსებული იქნება ბაღი, სახელოსნო და პირველ-დასაწყისი სასწავლებელი? ხომ ეს უკანასკნელიც სკოლაა და პირველიც? არა ბ-ნო ვ. წ.? შეიძლება ბ-ნ. ვ. წ. ისა აქვს სახეში, რომ ჩვენში სკოლები სანატრელს საფუძველზედ ვერ არიან დამკვიდრებულნი, რის გამოც ისეთი ნაყოფი ვერ მოაქვთ, როგორიც უნდა მოჰქონდეთ. ეს-კი ნამდვილია. ეს ნაკლი ჩვენის სკო-

⁂ მ. შარაძისა და ამხ. სტამბაში დაიწყო ნოტებად ბეჭდვა ქართულის (გურულ-იმერულ კილოზე) საეკლესიო საგალობლებისა. პირველს წიგნში მოთავსებული იქნება: ოქროპირის წირვის წესი, ვასილ დიდისა პირველ შეწირულის, მღვდელ-მთავრისა, წესის აგებისა: ყრმისა, ერის კაცისა, მღვდლისა და ბერისა. აგრეთვე მოთავსებული იქნება ნათლისა, ჯვარისწერისა, პანაშვიდისა, ეკკლესიის კურთხევისა, თორმეტი საუფლო დღესასწაულის მეცხრე სძლის პირები და ამავე დღესასწაულებში საჭირო „მოვედით თაყვანის-ვსცეთ“-ისა და „წმიდაო ღმერთოს“ მაგიერი საგალობელნი. წიგნში მოთავსებული იქნება არა ნაკლებ 174 მუხლისა. მსურველთ მალე დასაკმაყოფილებლად საქმე ისე მოეწყობა, რომ შეიძლებოდეს დაბეჭდვისათანავე მარტო წირვის წესის ყიდვა, ან დაბარება და დანარჩენ საგალობელთა-კი მერე მიღება.

⁂ ფასანაური. ფასანაურის ინტელიგენტებს განზრახვა აქვთ, გამართონ წიგნთ-საცავი, გამოიწერონ ქართული ჟურნალ-გაზეთები და წლის დამლევს ჟურნალ-გაზეთები შესწირონ ფასანაურის ერთ კლასიან სამრევლო სკოლას.

⁂ იქიდამვე: 17 ამ თვისას აქაურს ბოქაულს მოუვიდა ცნობა ს. ყაზბეგიდგან, რომ აქ რაღაცნაირმა სატკივარმა იჩინა თავი. ორის დღის განმავლობაში გარდაიცვალა 5 და კიდევ რამდენიმე კაცია ავადაო.

⁂ სოფ. აბაშა. (სენაკის მაზრა). აქ რკინის გზის სადგურთან გაიმართა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სადაც ყოველ გვარს საფოსტო კორესპონდენციებს იღებენ.

⁂ სახელმწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედების სამინისტრომ გარდასწყვიტა დააჯილდოვოს სოფლის უფრო რიგიანი მეურნეობანი და ამიტომ ამჟამად პროექტს არდგენს დაჯილდოვების წესისას.!

## კორესპონდენცია

**ნანსის** სამეურნეო სასწავლებელი. Ecole Mathieu de Dombasle. Ecole Pratique d'Agriculture près Nancy.

პროფესსიონალურ სასწავლებლებით თითქმის მოფენილია მთელი საფრანგეთი; სპეციალურის საგნის (რომელიმე შტო მეურნეობისა) და პროგრამის დაგვარად, სასწავლებლები განიყოფებიან რამდენიმე რიგად სათეორიო დ აგრეთვე ისეთები, სადაც თეორიას და პრაქტიკას ორივეს ერთად ასწავლიან.

იმ სასწავლებელთა შორის, სადაც თეორია და პრაქტიკა ხელის-ხელ ჩაკიდულნი მიდიან, ერთი საუკეთესო ადგილი უჭირავს ქ. ნანსის სამეურნეო სასწავლებელს.

ეს სასწავლებელი სულ რამდენიმე ათიოდ საჟენით არის მოშორებული ქ. ნანსზედ. ქალაქთან სიახლოვე შეძლებას აძლევს სასწავლებელს იყოლიოს უმთავრეს საგნებში საუკეთესო პროფესორები ნანსის უნივერსიტეტისა: ქიმიისა, ფიზიკისა, საბუნებისმეტყველო საგნებისა და სხვ. ამ კურსების ყურის საგდებლად ყმაწვილები თვით უნივერსიტეტში დაიარებიან და აქედგან შეძლება ეძლევათ უნივერსიტეტის ლაბორატორიით და აპარატებით ისარგებლონ. გარემოება აძლევს უპირატესობას ნანსის სკოლას სხვა ამ გვარ სასწავლებლებზე, რაც შეეხება თვით სასწავლებელს, მას აქვს თავისს ეზოში მრავალი სამეურნეო იარაღები: გუთნები, სამკალი და სალეწი და სხვა მაშინები, ჰყავთ სამაგალითო საქონელი, კოლექციები ბაღი, ფერმა და სხ. ყველა ის, რაც სამეურნეო ცოდნის შესაძენად საჭიროა.

საქმის დღე განაწილებულია ორად: 8—12 საათამდის თეორია; 1—5-დინ შემოდგომობით და ზაფხულში 1—6 საათამდე პრაქტიკა.

სკოლას არა აქვს ალებული არა სამეურნეო ნაწილი (შტო) სასპეციალოდ, იგი აძლევს საზოგადო სამეურნეო განათლებას და შეიცავს მის ყველა ნაწილს.

პროგრამა სკოლისა:

მიღების პირობები. სასწავლებელი იღებს, როგორც შიგ მცხოვრებლებს (პანსიონერებს), აგრეთვე გარედგან მოსიარულეთაც და თავისუფალ მსმენელთაც. უეგზემენოთ მიიღებიან ყველა ისინი, ვისაც მოწმობაში მოხსენებული იქმნება, რომ მას გაუვლია მათემატიკიდგან, გარდა არითმეთიკისა, ან გეომეტრია ან ალგებრა და ბუნების მეტყველებიდგან ერთი, რომელიმე მისი ნაწილი. ვისაც ამ გვარი მოწმობები არ ექმნება, ეგზემენს მოსთხოვენ: ფრანგულს ენაში, ანგარიშში, გეოგრაფიაში და საფრანგეთის ისტორიაში.

ზემოხსენებულ მოწმობის გარდა უცხოელისათვის საჭიროა აგრეთვე მეტრიკის მოწმობაც. ეს მოწმობები და თხოვნა წარედგინება სასწავლებლის დირექტორს 20-ს მარიამობის თვემდინ.

თვით სასწავლებლის პროგრამა შეიცავს შემდეგს საგნებს:

1. Chimie et physiologie appliqueés à e'agriculture—ქიმია და ფიზიოლოგია, რომელიც საჭიროა მეურნეობისათვის.
.2 Physique générale et météorologie—საზოგადო ფიზიკა და მეტეოროლოგია.
3. Histoire naturelle—ბუნების მეტყველება.
4. Chimie générale—საზოგადო ქიმია.
5. Gèologie et minéralogie—გეოლოგია და მინერალოგია.
6. Agriculture et économie rurale—მეურნეობა და საზოგადო ეკონომია.
7. Législation agricole et économie politique—სამეურნეო კანონ-მდებლობა და პოლიტიკური ეკონომია.
8. Génie rural—სასოფლო შენობა.
9. Topographie—ტოპოგრაფია.
10. Comptabileté—ანგარიში.
11. Langue française et allemande—ფრანგული და გერმანული ენა.
12. Mathématiques—მათემატიკა.
13. Zootechnie et vétérinaire—ზოოტეხნია და ბეითალობა.
14. Horticulture et arboliculture—ბაღოსნობა და ხის მოშენება.

ზაფხულობით დაწესებულია მოგზაურობა რომელიმე პროფესორის ხელმძღვანელობით ბოტანიკურის და გეოლოგიურის აზრით.

ფასი შინა მცხოვრებლებისთვის (პანსიონერებისათვის) 600 ფრანკია, რომელის მესამედიც შესვლისთანავე უნდა წარედგინოს; აგრეთვე თორმეტ-თორმეტი ცალი ყველანაირ საცვლისა (თეთრეულისა) და რამდენიმე ცალი ზედა ტანისამოსისა. გარედგან მოსიარულეთათვის 200 ფრანკი, მთელი კურსი გრძელდება ორს წელს.

ნიკო ალნიაშვილი

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გამოჩენილი საფრანგეთის ინჟენერი, სუეზის არხის გამყვანი ლესეპსი გარდაიცვალა.

ამ შესანიშნავმა კაცმა სამწუხაროდ დააბოლოვა თავისი სიცოცხლე. პანამის არხის ისტორიამ მოხუცებულ ლესეპსაც მოსცხო ჩირქი და მას შემდეგ იმისი ცხოვრება მხოლოდ ერთი სატანჯველი იყო. ახლა დეპეშა გვატყობინებს, რომ დასრულებულა ამ საოცარ ენერგიის და ფანტაზიის კაცის ამ სოფლად არსებობა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ „Врачъ“-ის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ თიკანძისა: „ღომი, მისი ქიმიური შენადგენი და იმისი მნიშვნელობა, როგორც საჭმლისა“. ავტორს პროფ. მიდლოვსკის ჰიგიენურ ლაბორატორიაში ხორბლეულობა ქიმიურად გამოუკვლევია და იმ დასკვნამდის მისულა, რომ

„ღომის ფქვილი თავისის ნოყიერებით გაცილებით სჯობნის სხვა, მის მინაგვარ (ფეტვისა, უგრეხელისა, ბურღულისა და სხ.) ხორბლეულობათა საჭმელს და რიგიანი მასაზრდოებელიც არის. ამიტომ ურიგო არ იქმნება ღომის თესვას უფრო გულდადებით მოეკიდნენ და გაავრცელონ კიდეც, ნამეტნავად იმ გვარს ადგილებში, სადაც პური ნაკლებად მოდის და ან გვალვისაგან ფუჭდებაო“.

**

აღმოსავლეთის ომის შესახებ შემდეგი ამბავი სწერია: Kaelnische Zeitung-ში:

ის გარემოება, რომ ინგლისმა და რუსეთმა ჩინეთის წყლებზედ სამხედრო გემების რიცხვი მოუმატეს, ძალიან აღელვებს ტოკიოში ხალხს. ინგლისელებს ეხლა 30 გემი აქვთ, მაგრამ ეს რიცხვი უფრო მეტი იქმნება, თუ საფოსტო გემები სამხედროდ გადააკეთეს. მაინც და მაინც აქაურ ინგლისელებს შიში დიდი აქვთ, რადგან ჰგრძნობენ, რომ რუსეთისა და საფრანგეთის შეერთებული ძალა ზღვაში ინგლისს დასძლევს. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული რუსეთი რა თვალით უყურებს იაპონიას. თუმცა აქ თითქმის ყოველ-დღე ვკითხულობთ რუსულ გაზეთებში იაპონიის ძაგებას, მაგრამ ყველას-კი ისა სჯერა, რომ იაპონია რუსეთის მთავრობით ჰმოქმედებს.

---

ლების დიდი ხანია შემცნეულია როგორც ჩვენის მწერლობის მიერ ისე თვით ქართველის საზოგადოებისაგან, მაგრამ, როგორც ჰხედავთ, ჯერ-ჯერობით არა გამოვიდა-რა, მაგრამ ვინ არ იცის *), გარდა ბ-ნ ვ. წ., რომ, რაც უნდა იყოს, სკოლა სჯობიან უსკოლობას, რაც უნდა ნაკლი ჰქონდეს მას, რაც გინდ მრუდეთ იყოს სწავლის საქმე წარმართული? ჩვენს სკოლას რაც ნაკლი აქვს, იმის მოსპობის შესახებ უნდა ვილაპარაკოდ, ვწეროდ და ვიმოქმედოთ და არა თვით სკოლისა, რადგან უსკოლოდ ხალხის წარმატება და თვით მისი სიცოცხლეც ვერ წარმოგვიდგენია. ნაკლულევანებისთვის რომ პირველ-დაწყებითი სკოლები მოვსპოთ, მაშინ, ბ-ნის ვ. წ. ლოღიკით ხომ იგივე ბედი უნდა მოუვიდეს ბევრს საშუალო და უმაღლესს სასწავლებლს, რადგან ხშირად ბევრი იმათგანიც ვერ ასრულებს თავიანთ დანიშნულებას; ვ. წ. ლოღიკით, კაცობრიობის უმეტეს ნაწილსაც ხომ უნდა მოესპოს სიცოცხლე, რადგან ის რამოდენიმე გზას გადამცდარია და თვისს დანიშნულებას ვერ ასრულებს ანუ არ ასრულებს. არა, ბ-ნო ვ. წ.?

ყოველს ხალხს უპირველესს საგნად მიჩნეული აქვს ქვეყანაზედ ცხოვრება. რადგან ამ გვარის აზრით არის თითოეული ხალხი გამსჭვალული დ სხვა ყოველგვარი ქმნილებანიც, ამიტომ მათ შორის სასტიკი ბრძოლაა გამართული, რომ თითოეულმა იმათგანმა უფრო ფართო ადგილი დაიჭიროს, უფრო კარგად იცხოვროს. რა თქმა უნდა, ამ გვარს ბრძოლაში გამარჯვებული ის არის და ის იქმნება, ვინც რიგიანად არის შეიარაღებული ყოველისავე იმით, რაიცა უუსაჭიროესს იარაღს შეადგენს ცხოვრებისათვის ბრძოლის ასპარეზზედ გასამარჯვებლად. ერთი ამ გვარი უმთავრესი იარაღთაგანი სწავლა-ცოდნაა. ხოლო სწავლა ბავშვობიდგანვე იწყება ელემენტარულ საგნებიდგან და შემდეგ თან-და-თან გადადის რთულს საგნებზედ; ამ რიგად, სისტემატიურად, კაცი ბოლოს და ბოლოს მიდის იმ ცოდნამდის, სადამდისაც შესაძლოა მისი მისვლა. მაშასადამე, ელემენტარულ ჭეშმარიტებად უნდა მიგვაჩნდეს ის, რომ თუ არა პირველ-დაწყებითი სკოლა, ისე არც დანაშთენები იქნება (საშუალო დ მაღალი), რადგან შეუძლებელია კაცმა საშუალო განათლება მიიღოს, თუ ჯერ პირველად ელემენტარული ცოდნა არა აქვს მიღებული. როგორი უნდა იყოს პირველ-დაწყებითი სკოლა, რა ტიპისა, ანუ რა ხასიათისა; როგორ უნდა იყოს წარმართული სწავლება, რას უნდა ასწავლიდნენ, ანუ რამდენს ხანს, ამის განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით. ჩვენ ვამბობთ პირველ-დაწყებითი სწავლა მიუცილებელი საჭიროებაა, როგორც დასაწყისი, როგორც საფუძველი საშუალო და მაღალის განათლებისა და დანაშთენი საუბარი აქ მეტია. რაც გენებოთ ის დაარქვით იმ ადგილს, სადაც ბავშვებს ასწავლით: გინდა სკოლა დაარქვით, გინდ პანსიონი, ეს სულ ერთია. რა თქმა უნდა ბავშვებს იმ რიგსა და წესზედ უნდა ასწავლოთ, როგორც რაციონალური აღზრდა თხოულობს; თუ რამე დაბრკოლებას ჰპოვებთ წინ ბავშვების ამგვარად აღზრდის გზაზედ, სწორედ იმ დაბრკოლებას გაუმკლავდით, ის მოსპეთ, თორემ სკოლების წინააღმდეგ ლაპარაკი რა ანგარიშში მოსატანია.

ერთობ გავაჭიანურეთ ლაპარაკი სკოლების მნიშვნელობის შესახებ; ვთქვით ის, რაც არა ერთხელ და ორჯელ გამოთქმულა ქართულსა და სხვა ხალხთა ლიტერატურაში; ვთქვით ის, რაიცა ელემენტარულ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია და, მაშასადამე, რის შესახებაც საუბარი მეტი უნდა იყოს, მაგრამ პატივცემული ვ. წ. აზრისანი ჩვენის სკოლების გამო ბევრი ახალგაზდა ქართველი შემხვედრია და სწორედ მეც იმიტომ ჩამოვაგდე ამ საგნის გამო საუბარი. ახლა-კი დავუბრუნდეთ იმის განხილვას, თუ რამდენად საფუძვლიანია ბ-ნ ვ. წ. შეხედულება ბანკებსა და დეპოებზედ. ჩვენ ზემოდ სიტყვა-სიტყვად მოვიყვანეთ აზრი ბ-ნ ვ. წ. ბანკისა და დეპოს შესახებ. პატივცემული ავტორი პირველს იმათგანს ხალხის გამაღატაკებელ დაწესებულებადა სთვლის, ხოლო მეორეს ყოვლად უმნიშვნელოდ, მაგრამ თავისს მიერ წარმოთქმულ აზრის დასამტკიცებლად არც ერთი საფუძველი არ მოჰყავს, არც ერთს მაგალითს არ გვიჩვენებს—სად, როგორ და რა დროს გაალატაკა ხალხი ბანკმა; სად და როდის ჩაიარა უმნიშვნელოდ დეპოს მოქმედებამ, როდესაც ის მკვიდრს საფუძველზედ იყო აგებული. ჩვენის აზრით, მარტო თამამად აზრის წარმოთქმა რაიმე საქმის შესახებ საკმარისი როდია, არამედ იგი დასაბუთებულიც უნდა იყოს ლოღიკურის მოსაზრებითა და შეურყეველის ფაქტებით, მაგრამ ბ-ნ ვ. წ. ამ ჭეშმარიტებისათვის გზა აუხვევია.

ცოტა არა თქმულა და არ დაწერილა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში ბანკებისა და დეპოების მნიშვნელობაზედ; ყველგან ცხადად არის ნაჩვენები იმათი დაუფასებელი სარგებლობა ხალხის არა მარტო ეკონომიურ წარმატებაში, არამედ მოქალაქობრივს განვითარებაშიაც. ეს ასეც უნდა იყოს. ბ-ნს ვ. წ. კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ეხლანდელს დროში უფულოდ არა კეთდება-რა; რაგინდა დიდის უძრავ-მოძრავ მამულის პატრონი იყოს კაცი, თუ ფული არა აქვს, იმისთვის რაოდენადმე მოუხმარებელია მისი მამული, რადგან უფულოდ მამული თავისთავად არ შემუშავდება და, მაშასადამე, არც ნაყოფს მოიტანს. ამ შემთხვევაში ერთი-ღა საშუალებაა დარჩენილი, ისა, რომ თქვენი მამული სხვას, ფულიანს კაცს, მიაწოდოთ შესამუშავებლად. მაგრამ ხომ ცხადია, რომ შეძლეულ საქონელს ფასი აკლდება: ნაცვლად იმისა, რომ თქვენს მამულს ასის თუმნის სარგებლობა მოეცა თქვენთვის, თუ საშუალება გექნებოდათ მისის შემუშავებისა, სხვას როცა აწვდით საიჯაროდ, შეიძლება ორმოც-და ათი თუმანიც ვერ აიღოთ. მეორეს მხრით, თქვენ თქვენი ნაწარმოები, თქვენის მამულის ნაყოფი საქონელი გაქვთ სახლში, მაგრამ უფულობისა გამო ვერსად-კი ვერ გაგიტანიათ გასასყიდლად, პირდაპირ მომხმარებლისთვის ვერ მიგიწოდებიათ. რა შედეგი აქვს ამ გარემოებას? ისა, რომ ფულის პატრონი მოდის თქვენს სახლში და როგორც უნდა, ისე ჰყიდულობს თქვენს საქონელს, რა ფასიც ჰსურს, იმას დაადებს თქვენს ნაოფლარს. არ მიჰყიდით, მეტი რა ღონე გაქვთ! ფული გჭირდებათ სხვა-და-სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, თითონ არა მოგეძევებათ-რა ჯიბეში და მოთხოვნილება თავისას არ იშლის. რა უნდა ჰქმნათ ამ გვარს შემთხვევაში? ისა, რომ უნდა კარზედ მიადგეთ ფულის პატრონს ვისმე და იმდენი სარგებელი აძლიოთ ნასესხ ფულში, რამდენსაც დაგისახელებს; არ აძლიოთ, არ მოხერხდება. საქო-

*) ამაში ვერც ჩვენ ვეთანხმებით ავტორს, რადგანაც ცუდი და მრუდე სკოლა ნამდვილი უბედურებაა ხალხისთვის და ასეთის სკოლის ქონებას, რასაკვირველია ისა სჯობს, რომ სულ არ იყოს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ქსლახან ლონდონში მიუტანიათ უშველებელი ხალი, შეკვეთილი დედოფალ ვიქტორიასაგან ინდოეთში, ვინძორის სასახლის „ვიტერლდას დარბაზისთვის“ ეს ქვეყანაზედ უდიდესი ხალი, რომელიც 25 მეტრია სიგრძით და 13 მეტრზედ ცოტა მეტი სიგანით, მოქსოვილია ოცდა რვა აგრის ცხის ტუსაღთაგან. უმეტესი ნაწილი ამ ტუსაღთა დასჯილია კაცის კვლისა და ქურდობის გამო. ამითი იმედი აქვთ, რომ დედოფალი შეუმცირებს სასჯელს ამ შრომისთვის. ამტკიცებენ, რომ ეს უშველებელი ხალი შესდგება ორმოც და ცხრა მილიონ თვალისაგან. ხალის სახე მშვენიერია. დედოფალმა ორი ამ გვარი ხალი კიდევ შეუკვეთა თავისს შვილის-შვილის, გერმანიის იმპერატორის საჩუქრად.

—

ცალკე წიგნად გამოვიდა გორაციოს ლექსები ინგლისურ ენაზედ, გლადსტონის ნათარგმნი, რომელიც იბეჭდებოდნენ ჟურნალ-გაზეთებში. Athevaevm-ის სიტყვით, ნათარგმნი მშვენივრად არის, ასე რომ წიგნს შესანიშნავი სახელიც რომ არ ეწეროს, უიმისოდაც დიდს ყურადღებას მიიქცევდა. საკვირველი ის არის, რომ წიგნის გამოსვლის უმალვე გავრცელდა ხმა, ვითომ გლადსტონს სადარბაზო პოეტის სახელს აძლევენო, რომლის ადგილიც ტენისსონის გარდაცვალების შემდეგ თავისუფალია.

—

ჩინეთის თეატრი იმის მაუხედავად, რომ ჩინელები ბევრათ ჩამორჩენილნი არიან, ბევრს შემთხვევაში წააგავს დასავლეთ ევროპის თეატრებს. ჩვენში თუ განათლებული და გონიერი მსახიობი იშვიათია, ჩინეთში განათლება და განვითარება, აგრეთვე ერთგულება საქმისა ჩვეულებრივი მოვლენაა და ჩინელ მსახიობებს საზოგადოება დიდი თანაგრძნობითაც ეპყრობა; უფრო-კი ნიჭიერ მსახიობთ ავასებენ და უყვართ. თუმცა ქალები სცენაზედ იშვიათად გამოდიან, მაგრამ, მათ შორის არიან დიდად ნიჭიერნი და განთქმულნი. ჩინეთის სცენა საზოგადოდ ჯერ კიდევ ნორჩია, თუმცა XVI საუკუნეში უკვე იმართებოდა წარმოდგენები, მხოლოდ საერო წარმოდგენებზედ ნება დართულია ჩინეთში 1730 წლიდგან. ამ დროიდგან პეკინში მთავრობის ხარჯით დაარსდა სახელმწიფო სათეატრო სასწავლებელი, რომელშიც სცენის ხელოვნებას ხუთს წელიწადს ასწავლიან. თვით სცენა, მოწყობილება სცენისა და აგრეთვე პიესები ემსგავსება ველურ გაუნათლებელ ჩინეთს და სულ არ შეეფერება მსახიობთა ხელოვნებას. ამ ჟამად ბერლინში იმყოფება მთელი დასი ჩინეთის მსახიობებისა და წარმოდგენებსა ჰმართავს. ამ დასში 24 მსახიობი ქალია და 5 მსახიობი-კაცი. ევროპაში მისულა იმ მიზეზით, რომ ომის გამო ჩინეთის თეატრი დაკეტილია.

## ჟულ სიმონის აზრი ახალის მეფის შესახებ.

ხელმწიფის დაქორწინების გამო საფრანგეთის პუბლიცისტებმა მრავალი წერილი დაჰბეჭდეს სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთში და სცდილობენ გამოიცნონ რა მიმართულებას ამოირჩევს ახალი იმპერატორი. სხვათა შორის ჟულ სიმონმაც დაჰბეჭდა გაზეთ „Figaro“-ში თავისი წერილი და ესეც, როგორც სხვანი, სცდილობს გამოიცნოს როგორის ხასიათსა და პოლიტიკურს მიმართულებას დაადგება ახალი ხელმწიფე, როგორც შინაგან საქმეთა წარმართვასა ისე საერთაშორისო პოლიტიკაში.

„ჩვენ ჩვენ თავს ფილოსოფიის წარმომადგენელად თუ არა, ფილოსოფიურის გამბედაობით აღჭურვილად მაინცა ვსთვლით. ვფიქრობთ რა ესე, ამასთანავე ვმოწმობთ, რომ ჩვენ რიგიანად არა გვაქვს შეგნებული ჩვენი ხასიათი და მოქმედება. რჯულ-მდებლობის მხრივ ძალიან შორს წავედით, მხოლოდ თვალთა ხედვის ისარი შორს ვერ გვიწვდება. გერმანიასკი, მმართველობის ფორმის მიუხედავად, იმ მმართველობისა, რომელიც მან თავ. ბისმარკის დახმარებით ამოირჩია, სპეკულატიურ ფილოსოფიის მიმდევრობაში საზღვარი არა აქვს. რადგან რუსეთის მეზობლად მდებარე ქვეყანაა, გერმანიიდგან დღითი დღე მრავალი გერმანელი მიდის რუსეთში და ამიტომ გერმანელების მეოხებით რუსეთში ევროპიული კულტურა მეფდება. სწორედ რუსეთში მყოფ გერმანელების დასი არის უპირველესი წარმომადგენელი რუსეთის ეროვნულის წინ-მსვლელობისა, ფილოსოფიისა და დროს მოთხოვნილების იდეებისაკენ მისწრაფებისა.

წინანდელი მეფობა ჰგრძნობდა გერმანელების გავლენას, ჩვენი-კი რუსეთს სრულიადაც არ ეშინოდა, არა მარტო იმიტომ, რომ საფრანგეთი დაშორებულია რუსეთზედ, არამედ იმიტომაც, რომ საფრანგეთში მეტისმეტი ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ რუსეთის საზოგადოებრივ და საპოლიტიკო წეს-წყობილებისა. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენ ეხლა ვსწავლობთ ამას. ჩვენი იდეები სახელმწიფოს მართვისა, რასაკვირველია, ძლიერ დაშორებულია რუსეთის იდეებთან, ნამეტნავად იმ იდეებთან, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ წინა მეფობის დროს. ეროვნებათა ერთმანეთში დაკავშირება მარტო იდეების შეთანხმებაზედ რომ იყოს დამოკიდებული, მაშინ ჩვენ მხოლოდ შვეიცარიისთან უნდა გვქონდეს ხელშეკრულობა. გარნა ხანგრძლივი კავშირი ერთა შორის დამოკიდებულია არა მარტო იდეების შეთანხმებასა და დაწესებულებათა ერთგვარობაზედ, არამედ იმათ აერთებთ აგრეთვე საზოგადო ინტერესები და ბუნებრივი თანაგრძნობა და გულის შევარდნა. რუსეთს დაცვა ეპირვება და ამ მხრით ჩვენ დასავლეთით უზრუნველ ვყოფთ, რადგანაც, ჯერ ერთი, ძლიერი ჯარი გვყავს და, მეორეც, დიდი გავლენა გვაქვს ხმელთა შუა ზღვაზედ. რუსეთისათვის საჭიროა აგრეთვე ჩვენი ფულის ბაზარიც.

იმპერატორს ნიკოლოზ მეორეს წილად ხვდა გააშენოს და გააპოხიეროს აზიის თითქმის ნახევარზედ მეტი ნაწილი, გაიყვანოს რკინის გზები, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ყველგან მიაშველოს ჯარები, სადაც-კი ჩინელებისა და თუნდა ბრიტანელების თავს-დასხმაა მოსალოდნელი. ამ გზების შემწეობითაც ეხლაც გადაქვთ ყოველ გვარი სიმდიდრე და გადაჰყავთ ხალხი. ხელმწიფესა ჰსურს გადაიღოს ევროპიდგან ახალი ცოდნა და მეცნიერების გამოკვლევანი, რომელიც-კი მომავალში ადამიანის ცხოვრების გასაუმჯობესებელს ვითარებას შეჰქმნის.

აწინდელი რუსეთის მეფე ერთს პირველს ადგილთაგანს დაიჭერს მეცნიერების გავრცელებაში, რომელიც მეოცე საუკუნის განსაკუთრებულს თვისებას შეადგენს. მან უნდა მიანიჭოს მსოფლიოს მშვიდობა და თავისს სამშობლოს-კი სწავლა-განათლება,—აი ის ანდერძი, რომელიც დაუტოვა ალექსანდრე მესამემ ნიკოლოზს, აი ის შრომა, რომელსაც უნდა შეუდგეს ახალგაზდა იმპერატორი.

## ბისმარკის დაქვრივება

—

ამ დღეებში თავადს ბისმარკს დიდი უბედურება ეწვია... გარდაეცვალა ცოლი, რომელთან ერთად თითქმის ორმოც-და-ათი წელიწადი სწია ჭაპანი ამა ქვეყნისა. ევროპის ჟურნალ გაზეთები დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან ბისმარკის მწუხარებას და დიდის პატივისცემით იხსენიებენ ახლად გარდაცვალებულს კნეინა იოანნა ბისმარკისას. ერთის შეხედვით ძნელი იყო გაზეთებს ისეთი რამე ეთქვათ გარდაცვალებულის გამო, რომელიც ღირს შესანიშნავი ყოფილიყო და ბისმარკის სიდიდესთან მქრალი არ გამოჩენილიყო. საზოგადოდ გამოჩენილის ბისმარკის ოჯახობის შესახებ ლაპარაკი მხოლოდ იმდენად უნდა იყოს საყურადღებო, რამდენადაც ამ ლაპარაკში გამოიხატება თვით ბისმარკის ვინაობა, რადგან ბისმარკის ოჯახის ისტორია თვით ბისმარკის ისტორიით, ბიოგრაფიით არის საინტერესო, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც კნეინა ბისმარკის გარდაცვალების შესახებ დაიწყეს ლაპარაკი, მხოლოდ იმას იხსენიებენ და არა იმის გამოჩენილს ქმარს. ისეთი რამ შენიშნეს გარდაცვალებულის ცხოვრებაში, რაც მას საკმაოდ უადვილებდა დიდებულ კაცის ცოლობას და თითონაც არა ნაკლებ, ეხლანდელ ქალთა შორის, მაინც, შესამჩნევად ხდიდა. მისი ღირსება—პატიოსანის ასპარეზის არჩევაა, ხოლო იარაღი—ასქმის სიყვარული და განუზომელი ერთგულება.

ასპარეზად მან თავისი ოჯახი აირჩია და სულ იმას იძახდა, ვაი, რა უბედური ვარ, ამ დიდს საქმეს სინიდისიერად გაუძლვეო. სინიდისიერად გაძლოლა-კი მას სიყვარულმა და ერთგულებამ გაუადვილა.

სწორედ ძნელი ხვედრი ხვდა კნ. ბისმარკისას. მისი ქმარი დიდის ხნის განმავლობაში მთელს ევროპის, მთელის ქვეყნის პოლიტიკის სულის ჩამდგმელი იყო. ისეთი არა მოხდებოდა-რა, რომ იქ ბისმარკის სურვილს, განზრახვას ალაგი არა ჰქონოდა. ეს იმდენად იყო გარეთ გართული ათა-

---

ნელი გპირდებათ სასყიდლად, მაგრამ ფული-კი არა გაქვთ; მიდიხართ ვაჭართან და ისიც აბაზის სალირალს საქონელში სამს აბაზს გაწერს. არ დასთანხმდებით, მეტი რა ჩარა გაქვთ? მეორეს მხრივ, ნაღდ ფულად ჰყიდულობთ საქონელს, მაგრამ მაშინაც წაგებაში ბრძანდებით, ვინაიდგან არა გაქვთ საბუთი იფიქროთ, რომ ვაჭრობაში არ მოგატყუეს.

ხომ მართალია ყოველივე ეს, ბ-ნო ვ. წ.? სწორედ ამისთვის მოიგონეს ეს თქვენგან ათვალწუნებული დეპო-ბანკები, რომ ყოველთვის კერძო კაცების ყურ მოჭრილი ყმები არ ყოფილიყო ხელ-მოკლე ხალხი. ევროპაში დიდი ხანია, ბანკისა და დეპოს გემო შეიგნო ხალხმა და სწორედ ამ მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ ევროპიის თითოეულს სახელმწიფოში ათასობითა და ათიათასობით ითვლება ერთიცა და მეორეც. გერმანიაში, მაგალითად, 1893 წ. ითვლებოდა 4,791 საამხანაგო წვრილმანი ბანკი; წელს ითვლება 5,489, ე. ი. ერთის წლის განმავლობაში მოემატა 698. აქედგან ნათლად სჩანს, რა დიდი სარგებლობა უგრძვნიათ გერმანელებს თავიანთის ბანკებისაგან *). რუსეთშიც ამ მოკლე ხანებში სცადეს იმათი დამართვა და თუ ჯერ-ჯერობით ამ საქმემ იქ ისე ვერ მოიკიდა ფეხი, როგორც სასურველი იყო, ეს იმას როდი ჰნიშნავს, რომ დეპო-ბანკები საზარალოა რუსეთის ხალხისათივს, ანუ მეტი ბარგია, არამედ იმას, რომ ეს ახალი საქმეა რუსეთში და ყოველი ახალი საქმე ათასს გვარს დაბრკოლებას წააწყდება ხოლმე თავს. ყოველს შემთხვევაში ამ ჟამად რუსეთში 764 სახალხო ბანკია *) და თუ საზიანო იყო ხალხისთვის ეს ბანკები, რატომ აქამდის არ გააუქმეს.

არსად, ჩვენის აზრით, ბანკები და დეპოები ისე საჭირო არ არის, როგორც ჩვენში. ამისი მიზეზი ცხადია: ვერც ერთს ქვეყანას ვერ დაგვისახელებს ბ-ნი ვ. წ., საცა კრედიტი ისე ძვირი იყოს, როგორც ჩვენში; სოფლის ნაწარმოები ისე მუქთად, ჩალის ფასად უვარდებოდეს ხელში ჩარჩებს, როგორც ჩვენში, და, დასასრულ, ფაბრიკის ნაწარმოები ისე ძვირად უჯდებოდეს ხალხს, როგორც ჩვენში. ვინც მარტო ვარსკვლავებსა სთვლის ცაში, იმან იქნება არც იცოდეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ფულის სარგებელი 30—120 %-დის ადის. როგორც ზევითა ვსთქვით, ფული ყოველის კაცისთვის უსაჭიროესი რამ არის. ამით, რაღა თქმა უნდა, შესაფერად სარგებლობენ სოფლისა თუ ქალაქის ჩარჩები და ჩვენის ხალხის მომეტებული ნაწილი მაგრადა ჰყავთ ჩაბოჭილი. ვალების გაძლიერებას ისიც ხელს უწყობს, რომ ჩვენი ხალხი თავისს ნაწარმოებს რიგიან ფასად და თავისს დროზედ ვერ ასაღებს და ეს ნაწარმოებიც იმავე ჩარჩებს უვარდება ხელში. ხალხს თან-და-თან ვალი ემატება, ვალში საცხოვრებელს და თავისის შრომის მომავალს ნაყოფს აგირავებს, რის შედეგიც ის არის, რომ ბევრი დავალიანებული საცხოვრებელსა ჰკარგავს და, თუ რამდენსამე ჯერ კიდევ შერჩენია, მხოლოდ სახელით, თორემ შემოსავალი სხვას მიაქვს. დაიარეთ სოფლები ქართლისა, კახეთისა და იმერეთში და დარწმუნდებით ჩემის სიტყვების სინამდვილეს. მთავრობამ შეიგნო ხალხის შევიწროება ჩარჩების მიერ და კანონი გამოსცა, რომ 12 %-ზედ მეტის გარდახდევინება არავის შეეძლოს სესხში, მაგრამ ეს კანონი რომ ჩვენში არა სრულდება, ეს დაფარული არავისთვის არ არის, და რუსეთშიაც რომ არა სრულდება, ამას ნათლად გვიჩვენებს ცნობილის რუსის მწერალის ივანიუკოვის წერილები „Русс Мыс“-ში. ეს მოსალოდნელიც იყო: ვერავითარი კანონი ვერ შეამცირებინებს მოვახშეებს დიდს %-ბის ალებას, სანამ ხალხს იაფ ფასიანი კრედიტი არ გაუჩნდება და ამასთავე სანამ თავისს ნაწარმოებს რიგიან ფასად ვერ გაასაღებს და სხვების ნაწარმოებსაც ზომიერ ფასად ვერ იყიდის.

ცხადზე უცხადესია, რომ ამ დროებაში ჩარჩების ხელიდგან ჩვენის ხალხის გამოხსნა, ეკონომიურად მისი წინ წაწევა შეუძლიან სახალხო ბანკებს და დეპოებს. საშუალება, რა თქმა უნდა, სხვაც ბევრია, მაგრამ მათ შორის დეპო-ბანკებს ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს. იქნება ბ-ნმა ვ. წ. ჰბძანოს, რომ ბანკსაც ხომ რაიმე ქონებრივი გარანტია უნდა მისცეს სესხის ამღებმაო; ბანკიც ხომ გაუყიდის ქონებას, თუ ვალი ვერ გაისტუმრაო. ეს მართალია, მაგრამ ესეც უფრო მართალია, რომ 30—120 %-ს გადახდაზედ უფრო ადვილი 5—8 %-ს გადახდა არის. ერთის სიტყვით, ხალხისთვის საჭიროა იაფ-ფასიანი კრედიტი, რომელიც იმისს ყოველ დღიურ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ, რომ ამ უკანასკნელს დროს სახელმწიფო ბანკიც მზად არის გაუხსნას კრედიტი როგორც ვაჭრებს, მოიჯარადრეებს, მექარხნეებს, სოფლის მემამულეებს, ისე გლეხ-კაცობასაც, თუ ისინი საიმედო თავდებებს წარადგენენ. სახელმწიფო ბანკის მე-140 მუხლის ძალით ამ გვარ თავდებად, სხვათა შორის, ითვლებიან სასოფლო ბანკებიც. მაშასადამე, ამ გვარი ბანკი არა მარტო თავისთავად გაუწევს დიდს სამსახურს თავისს წევრებს, არამედ, როგორც თავდები, შუამავალი სახელმწიფო ბანკთან, შესამჩნევს შეღავათს აღმოუჩენს ხალხს. ბანკებს გვერდით უთუოდ დეპოებიც უნდა ჰყავდეთ ამომდგარი, რომელიც ერთის მხრივ სოფლის ნაწარმოებს რიგიანს ბაზარს აღმოუჩენს, თავისს დროზედ და ნამდვილ ფასად გაჰყიდის ხალხის ნაოფლარს და, მეორეს მხრივ, თავისს წევრებს ზომიერ ფასად საღს საქონელს მიაწვდის. ამ რიგად დეპო და ბანკი დაიხსნის ხალხს მძარცვავის ჩარჩების ხელიდგან, და ეს-კი ცოტა საქმე როდია.

ჩვენ არ შევუდგებით აქ იმის განხილვას, თუ დეპო-ბანკი, ვითარცა კოოპერაციული დაწესებულება, ეკონომიურ სარგებლობის გარდა, სხვა მხრივაც რამდენად სასარგებლოა ხალხისათვის, რა დიდი ზედ-გავლენა აქვს ხალხის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზედ; როგორ აჩვევს ხალხს საერთო შრომასა და შრომის ნაყოფის სამართლიანად განაწილებას; როგორ ამზადებს ხალხს უკეთესის მომავლისათვის და სხ. ამაების განხილვა დღევანდელს ჩვენს წერილში საგნად არა გვქონია, მაგრამ, თუ შემთხვევა მიგვეცა, შეიძლება როდისმე ამ საკითხსაც შევეხოთ.

L.

---

*) გერმანიაში (და ევროპის სხვა ქვეყნებშიაც) ბევრი სახალხო ბანკი, ფულის აღებისა და გასესხებისა გარდა, კომისიონერობასაც უწევს თავისს წევრებს: ამათ ნაწარმოებს აწოდებს პირ-და-პირ საქონლის მომხმარებელს და თავისის წევრთათვის საჭირო საქონელს ეზიდება ფაბრიკებიდგან, და ქარხნებიდგან ე. ი. ბანკისა და დეპოს მოქმედება იქ შეერთებულია. რუსეთშიაც აქვთ განზრახვა ასეთი ხასიათი მისცენ სახალხო ბანკებს.

ავტორი.

*) „Русс. Вѣд“. № 304, 1894 წ.

სის საქმითა და მოვალეობით, რომ თითქმის თავისს ოჯახს აღარ ეკუთვნოდა. აშკარაა, რომ მწარე ხვედრია ამისთანა დიდებულის კაცის ცოლობა; რა დიდი გონიერება და ერთგულება უნდა ამისთანა კაცის მეუღლეს, რომ ქმარს ოჯახი არ დაავიწყებინოს, შეაყვაროს, ოჯახში ისეთი მშვიდი კუთხე გაუჩინოს, სადაც დაღალულს და დაქანცულს, გამწარებულს და სასოწარკვეთილებაში მიცემულს შეეძლოს სულის მობრუნება, დასვენება და დიდის საქმისთვის კვლავ ღონის მოკრება. ყველა ეს მოახერხა იმან, ვის შესახებაც ეხლა გვაქვს საუბარი. მან შეასრულა თავისი მოვალეობა როგორც ქმრისა აგრეთვე შვილების წინაშე, მან აღუზარდა თავისს სამშობლოს განათლებული და ერთგული შვილები, იმისი ძე გერმანიის ერთი უკეთესი მინისტრთაგანი იყო. ერთის სიტყვით, მთელი თავისი დრო და ძალი გარდაცვალებულმა თავისს ოჯახს, მახლობლებს და მეგობრებს მოანდომა. თავისს თავის საკეთილოდ სულ არა ფიქრობდა.

ასე გაშინჯეთ, ამ უკანასკნელს ხანებში, როდესაც სამარეში ედგა ფეხი და ავადმყოფი იყო, არ დაწოლილა,—შინაურები შემიწუხდებიანო. სიკვდილის წინა ღამესაც-კი ძალა დაატანა ქმარს თავისს დროზედ დაწოლილიყო მოსასვენებლად: „აბა, რად უნდა შეიწუხო ტყუილ-უბრალოდ თავი, მაგითი მეც-კი უფრო შემაწუხებო“. სიკვდილის წამსაც-კი თავისს ქმრის ჯანმრთელობის ფიქრი ჰქონდა; უკანასკნელი იმისი სიტყვები იყო: „ოტტორენი (ბისმარკი) არ გაალვიძოთო“, სთქვა და სული დალია.

მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება ისე გაატარა, რომ ქმრის საპოლიტიკო საქმეებში არამც თუ არ ჩარეულა, სძულდა კიდეც ის პოლიტიკა, რომელიც ამდენს შფოთსა და მოუსვენრობასა სძენდა მის ქმარ-შვილს. არასოდეს არ მოსვლია სურვილი პარლამენტში შესვლისა, რომ გაეგონა თავისის ქმრისა ან შვილის ლაპარაკი. მაგრამ ეს იმას არ ამტკიცებს, რომ იმას გონიერი სიტყვა, განათლება და საზოგადო ასპარეზზედ შრომა სჯავრებოდეს, არა პირ-იქით ის თაყვანს სცემდა თავისის ქმრის შრომას.

თავადის ბისმარკის მეგობრები ამტკიცებენ, რომ გულ-მაგრად დაუხვდა თავისს უბედურებასაო. ბისმარკის გათხოვილი ქალი, გრაფის მეუღლე რინცაუ! ამიერიდგან მამასთან გადასახლდება, რათა ცოტა მაინც შეუმსუბუქოს მწუხარება დიდებულს მამას. „მაგრამ მაინც ვერაფერი დაავიწყებსო, ამბობს გაზ. „Нов. Вр.“ Proteus-ი, მოხუცებულს ბისმარკს ერთგულს და გონიერს მეგობარს—მეუღლეს *).

ყოველ მხრიდგან გვირგვინებსა და ყვავილებსა ჰგზავნიან გარდაცვალებულის კუბოზედ დასადებად, მთელი ევროპის მეფეებმა სამგლოვიარო დეპეშანით ესამძიმრეს ბისმარკს, მაგრამ ყველა ამას არ ძალუძს მოხუცის მწუხარე გულის განკურნება.

*) გარდაიცვალა კნ. იოანნა ბისმარკისა და მდუღარე ცრემლსა ჰღვრის ყველა, ვინც-კი იმას იცნობდა. იმისი ხელ-ქვეითნი აღმერთებდნენ. მართალია, ყველას ვერ გაუწვდებოდა მისი მოწყალე ხელი, მაგრამ ვარცინსა და ფრიდრიხსრუეში არ იყო ისეთი მუშა ან გლახა, რომ პირადად არა სცნობოდა გარდაცვალებულს და თავისი დედობრივის რჩევით არ გაებრუნებინა.

## თეატრის მატიანე

—

პატარა კახი, ისტორ. დრამა 5 მოქმედ., თხზ. აკაკი წერეთლისა.

ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან, ვოდ. 1 მოქმედ. ვ. გ.

ქართულს წარმოდგენებსაც დაეწყო სეზონი. კვირას, 27 სექტემბერს, პირველად გაიღო კარი ქართულის თეატრისა, სადაც „ამხანაგობის დასი“ ჰმართავდა წარმოდგენას. წარმოსადგენად ამოერჩიათ ისტორ. დრამა თ. აკაკი წერეთლისა „პატარა კახი“ და ვოდევილი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“.

„პატარა კახი“ პირველად არ არის წარმოდგენილი და ამიტომ მისი ავკარგიანობა ყველამ იცის. იგი დრამაკი არა, არც დრამატიული სცენებია, მხოლოდ, თუ ასე ითქმის, ლიტერატურული სცენებია, დიდის ხელოვნებით, ლამაზის, სწორედ აკაკისებურის ლექსით დაწერილი. ზოგიერთი სცენა ჰხიბლავს ადამიანს და თვალს ატყვევებს, მაგრამ საერთოდ არც სადრამოდ არის აკინძული ეს სცენები და არც მოქმედებაა საკმაო პიესაში, რომ სასცენო ხელოვნების ნაწარმოებად ჩაითვალოს. თუ გნებავთ, «პატარა კახი» უფრო პოემაა სასცენო ნაწარმოების სახით დაწერილი.

რაკი სასცენო ნაწარმოები არ არის და არც მოქმედებაა შიგ იმდენი, რომ ხელოვნებამ და ნიჭმა მსახიობისამ ფრთა გაშალოს, ამიტომ საზოგადოდ მსახიობნი ძალიან ერიდებიან ამისთანა პიესების დადგმას. ამ პიესის წარმოდგენას კიდევ ის გარემოება აძნელებს, რომ იგი ლექსად არის დაწერილი, რაც საზოგადოდ ყველა არტისტებსა და განსაკუთრებით ჩვენებს დიდად უძნელდებათ. იშვიათია ისეთი მსახიობი, რომ ლექსის სიტყვა-წყობილებამ არ ჩაითრიოს და არ დაიმონოს და, პირ-იქით, მომქმედის სულის მოძრაობასა და ადგილის გარემოებას შეუფეროს იგი.

ამ მიზეზთა გამო ცოტა არ იყოს საკვირველია რად ამოარჩია ამხანაგობამ ასეთი პიესა პირველ წარმოდგენისათვის. მაგრამ, თუ არა ვცდებით, ამისი მიზეზი ის იყო, რომ ამითი, ჯერ ერთი, თანაგრძნობა გამოეცხადებინათ ჩვენის პატივცემულის პოეტისათვის, რომელმაც დიდი ავადმყოფობა გამოიარა; მეორე იმიტომ, რომ მართლაც ზოგიერთი საუცხოო ადგილია ამ პიესაში და, მესამედ, ორგინალი ნაწარმოებია. ეს სამი გარემოება იმდენად პატივსადემი გარემოებაა, რომ საკვირველი არ არის თუ წარმოადგინეს.

რაც შეეხება სიძნელეს პიესის წარმოდგენისასა და ლექსების კითხვისას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მსახიობთა შორის ამ სიძნელეს სასახელოდ გაუძლვენ ბ-ნნი გედევანოვი, კანდელაკი, სვიმონიძე და გამყრელიძე, განსაკუთრებით-კი ეს უკანასკნელი, რომელმაც ისე საუცხოოდ წარმოადგინა მოხუცის ბრმის გელას როლი, რომ ორსა თუ სამს ადგილას, დასაწყისი და უკანასკნელი სცენა, სავსებით დაიპყრო საერთო ყურადღება და მაყურებელთ გული აუჩვილა. არა უჭირდა-რა ქ-ნს ავალიშვილსაც გელას ქალის როლში და არც ქ-ნს ჩერქეზიშვილს წაუხდენია ანსამბლი, თუმცა სულ არ იყო თავისს შესაფერს როლში.

ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია პირველად მოთამაშე მსახიობმა პატარა კახის როლისამ. ამ პიესაში თუ ძნელია და შეუძლებელიც რომელისამე როლის ასრულება, ასეთია პატარა კახის როლი. პიესაში ამ ჩვენის დაუვიწყარის გმირ-მეფის ის ხანაა აღებული, როდესაც იგი ჯერ ისევე ნორჩი ჭაბუკია, თექვსმეტ-ჩვიდმეტის წლის ყმაწვილი კაცი, გული იმედითა აქვს აღფრთოვანებული და, სამშობლოს გარს მომდგარს გაჭირებას რომ ჰხედავს, საგმიროდ აღტყინდება; ის ხანა, როდესაც თავისის თავის იმედი ადამიანს შეუძლებელსაც შეაძლებინებს ხოლმე და ყოველს დაბრკოლებას დაურიდებლად, მამაცად, შეუპოვრად შეებრძოლებს; ის ხანა, როდესაც გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, სურვილი მისთვის თავ-დადებისა, გრძნობა პატივ-მოყვარეობისა პირველად იდგამს ფეხს, პირველად იჩენს თავს, გარედ გამოჰხეთქავს და არსებას ჭაბუკისას სრულიად მოიცავს.

ასეთის როლის ასრულება, მერე იმისთანა არა-სასცენო ნაწარმოებში, როგორიც „პატარა კახია“, ადვილი არ არის და ძნელად რომ მსახიობმა შეიძლოს ადვილად შესხმა ასეთის ჭაბუკის ჯანისა და აღნიშვნა მისთა ამაღელვარებელ ფიქრთა და გულის ზრახვათა. მით უფრო სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნმა მარჯანიძემ, რომელსაც პირველადა ვხედავთ ტფილისის სცენაზედ, ცოტად თუ ბევრად, თავი გაიტანა და შესძლო ამ როლის ისე შესრულება, რომ მართლა ჭაბუკისებური გულით აღტყინვა და გატაცება გვიჩვენა და მოჩვენებული, რამდენადაც-კი შესაძლებელი იყო, ნამდვილს დაამსგავსა. ბ-ნს მარჯანიძეს ყოველიფერი ხელს უწყობს როლის რიგიანად ასრულებისათვის: ხმა ძალიან კეთილ-ხმოვანი აქვს, გარეგნობა შესაფერი და თავიც, რამდენადაც პირველად ნათამაშევს შეეფერება, კარგად უჭირავს სცენაზედ. თუ ამ ნაბოძებს გარეგანს სიკეთეს, თავისი ცდა და წადილი არ დააკლო, ეხლავე თამამად შეგვიძლიან ვუწინასწარმეტყველოთ, რომ ჩვენის სცენის ფრიად გამოსადეგი არტისტი დადგება. დაბოლოვებით ჩვენს აზრს ამ მსახიობის შესახებ არას ვიტყვით ჯერ-ჯერობით, ვიდრე კიდევ რამდენჯერმე არ მოგვიხდება მისი სცენაზედ ნახვა.

რაც შეეხება ვოდევილს, როგორც ყოველთვის, ვოდევილმა საუცხოვოდ ჩაიარა. ქ-ნ საფაროვისას საზოგადოება დიდის ტაშის ცემით მიეგება გამოსვლისათანავე და მართლაც ჩვეულებრივის მოხდენილობით ასრულა მან თიკოს როლი. კარგი იყო აგრეთვე შათირიშვილი ნესტორ შვინდაძეს როლში. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ამბავი, რომ როლები გაცილებით უკეთ იცოდნენ ჩვენმა არტისტებმა, ვიდრე სჩვევიათ, და საზოგადოდ სცენაზედ უფრო მეტად ჰსუფევდა რიგი და წესი.

საზოგადოდ პირველს წარმოდგენას ხალხი საკმაოდ ბევრი დაესწრო, თუმცა უფრო ბევრი იყო მოსალოდნელი. დამსწრეთა შორის ჩვენ შევნიშნეთ ჩვენი ინგლისელი სტუმარი ბ-ნი ოლივერ ვარდროპი და მოსკოვის საიმპერატორო თეატრის არტისტი ბ-ნი ალექსანდრე ივანეს ძე იუჟინი (სუმბათაშვილი).

მანველიძე

## დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** დღეს მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი ცარსკოე სელოდგან პეტერბურგს დაბრუნდნენ.

ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავრინამ ქსენია ალექსანდრეს ასულმა მიიღეს პალესტინის მართლ-მადიდებელთ საზოგადოების საპატიო წევრების წოდება.

გუშინ გარდაიცვალა აკადემიკოსი და პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა ჩებიშევი.


## განცხადებანი

ახალი ამბავი!

**ლამპრის პატრუქები**

გამოგონილია ჩემ მიერ, ჰაჯიევისაგან, ახლად მოგონილის წამლით და არა ჩვეულებრივი წმინდა და ბრწყინვალე ალი აქვს, სრულიად არა ჰბოლავს და არც სუნს აყენებს, ამასთან ნავთიც ძალიან ნაკლებად იწვის.

ეს პატრუქები ქალაქის საბჭოს დარბაზში გამოსცადეს და დაინახეს რა მისი სიკეთე, უკვე ჰხმარობენ. პატრუქები იხმარება აგრეთვე ქალაქის გამგეობაში და სხვა-და-სხვა დაწესებულებაში. ამ ხმარებამ აშკარად დაანახვა ყველას მისი სიკეთე.

ფასი აღნიშნულია თითონ პატრუქებზე დაბეჭდილის ასოებით და ხელმისაწვდოც არის.

მაღაზია იმყოფება კუკიის ხიდზედ, № 30. აქვე იმყოფებიან მოსამსახურენი, რომელნიც საზოგადოების მოთხოვნილებით სახლში ახლებენ პატრუქებს და ლამპარსაც გაჰმართავენ.

მამედ ჰაჯიევი

(1—1915—1)

კბილის ექიმი

**ვ. ი. ჭიჭინაძე**

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—41)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ფ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათსნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ბურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

გ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათსნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერაფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 28-го Ноября 1894 г.    სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა    რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.